ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7411462

ნომერი: AR11080825

თარიღი : 06.03.2025

გაცემის თარიღი : 14.03.2025

გაცნობის თარიღი : 14.03.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ყოფილი კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მზეონა ზუმბაძე პ/ნ 01024064988
- თბილისი ტაშკენტის ქ. N 23 ბ. 7

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 28 თებერვლის №7396520 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 06 მარტს №AR11080825 განცხადებით მომართა მზეონა ზუმბაძემ და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის 28 თებერვლის

№7396520 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 28 თებერვლის №7396520 ბრძანებით №01.18.06.018.235 საკადასტრო კოდით რეგისტრირებუ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი (ბლოკი №1) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლოის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2025 წლის 28 თებერვლიდან 2029 წლის 28 თებერვლის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
წინამდებარე განცხადებით განმცხადებელი ითხოვს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელი ფართობად 3846 კვ.მ-ის ნაცვლად 3809.3 კვ.მ.-ის, საზაფხულო ფართობად 3272.4 კვ.მ-ის ნაცვლად 3298.7 კვ.მ-ის, კომერციულ ფართობად 1219.4 კვ.მ-ის ნაცვლად 1152.7 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 1553.5 კვ.მ-ის ნაცვლად 1513.5 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 868.8 კვ.მ-ის ნაცვლად 941.4 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 1822.2 კვ.მ-ის ნაცვლად 1925.8 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 12917.1 კვ.მ-ის ნაცვლად 12971.6 კვ.მ-ის დაფიქსირებას. აგრეთვე, წარმოდგენილი გეგმების ჩანაცვლებას.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი არქიტექტურული გეგმები და შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება წარმოდგენილ ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 28 თებერვლის №7396520 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 28 თებერვლის №7396520 ბრძანებაში და ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 3809.3 კვ.მ., საზაფხულო ფართობად 3298.7 კვ.მ., კომერციულ ფართობად 1152.7 კვ.მ., დამხმარე ფართობად 1513.5 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 941.4 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად 1925.8 კვ.მ., ხოლო საერთო ფართობად 12971.6 კვ.მ.
2. სამსახურის 2025 წლის 28 თებერვლის №7396520 ბრძანებით შეთანხმებული -3-ე, -2-ე, -1-ე, 1-ლი, მე-4, და მე-6 სართული არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული ამავე ნიშნულების არქიტექტურული გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 28 თებერვლის №7396520 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 28 თებერვლის №7396520 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.